საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

სამშაბათი
20 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 201 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 201

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ.
ოკტომბერი
22
ხუთშაბათი

წარმოდგენა № 8.
„ქართული დრამა“.
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
პირველ განახლების შემდეგ
მადამ სანნ-ჟენ
8 მოქმედებ.
რადუსი, თარგმ. კ. მესხისა.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

ანონსი:
მზადდება
ტ. რამიშვილის
„ხალომეს ოჯახი“.

„სინათლის“ საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
ტფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
დებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი გ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დოროქითვანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია ნ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილად ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 19 ოკტომბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.
გერმანელების ფრონტის გარღვევა ფრანგების ჯარისაგან
და გარტმანსვეილერკოპფის ბრძოლით აღება. ბუნებიდან.
სიმღერა ძლევამოსილ სიყვარულისა.
მხატვრული დრამა 4 ნაწილათ ტურგენევის მოთხრობიდან, ხოლოდნისა, პოლონსკისა და რიდიჩის მონაწილეობით.
იშვიათი ზამბახი.
კომიკური სურათი, მაქს ლინდერის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ ს.
ანონსი: ორშაბათიდან 22 ოკტ. „მილიონების ჰიპნოზის გავლენის ქვეშ“. 11 და 12 სერია, 4 ნაწილათ.

ქუთაისის სამხედრო გოსპიტალი
მოუწოდებს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა
საჯარო ვაჭრობაში,
რომელიც მოხდება გოსპიტლის კანცელარიაში 12 ნოემბერს, მდგომარე წლისა.
იჯარით გაცემა
გოსპიტლისათვის ხორციელისა და სხვა საჭირო საგნების მიწვდა 1 დეკემბრიდან 1915 წლ. 1917 წლის 1 იანვრამდი.
მთელი ჯამი მისაწოდებელ სურსათისა უდრის 90000 მანეთს.
განცხადებასთან ერთად, ვისაც სურს აიღოს იჯარით სურსათის მიწოდების საქმე, მსურველმა უნდა წარმოადგინოს ბეთ 2000 მ., თუ ყველა სანოვაგის მიწოდას იკისრებს. კერძოთ კი,—ხორცის მიმწოდებელმა—1000 მ. პურისა, რძისა, კვერცხისა და სხვა სან. 1000 მან. მწვანილეულობის მიმწოდებელმა კი 200 მან.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია
აუწყებს თავის მკითხველებს, რომ 20 ღვინობისთვიდან გაზეთ „საქართველო“ გამოვა გადიდებულ ფორმატით და უკეთეს ქაღალდზე. მოწვეულნი არიან საუკეთესო ქართველი მწერლები. გაზეთს ჰყავს მუდმივი კორესპონდენტები საქართველოს გარეთ: პარიზში (საფრანგეთში), ლონდონში (ინგლისში), პეტროგრადში, მოსკოვსა, და კიევში. ადგილობრივად: ბათომში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ართვინში, ყარსში და საქართველოს ყველა დიდ სოფლებში. განსაკუთრებული კორესპონდენტები აჭარა-შავშეთ-იმერხევიდან და კავკასიის ბრძოლის ველიდან.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ., № 4.
1 ნოემბრიდან წლის დამლევამდი ღირს 1 მან. და 60 კაპ. 6—1

იყიდება კარგი ჯიშის სამი რუსული ძროხა.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დ. ჭიათურაში, სადგურის მახლობლათ, სოფრო კარაპეტოვისას. მასთანვე შეიძლება ფასზე მორიგებაც. 3—1—4062.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დაწყებით 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძე ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 16 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან, ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. მთელ პირზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, რაფალოვკის დასავლეთით, მტერი შეტევას იწყებდა, რომელიც სოფ. კოსტიუკოვთან იქნა მოგერიებული. ჩარტორისკის დასავლეთით რამდენიმე სასტიკი შეტაკება მოხდა სოფ. გუტალისუვსკაიასა და რუდნიასთან. საქმე ხიშტებამდი მიდგა. მაგრამ ამ ბრძოლებსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

კავკასიის ასპარეზი.

ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 15 ოქტომბერი. გადმოგვცემენ შემდეგ დაწვრილებით ამბებს შავი ზღვას ფლოტის მოქმედების შესახებ, შავ ზღვაში ბულგარეთის ნაპირებთან: 14 ოქტომბერს ჩვენმა შავი ზღვის ფლოტმა ზარბაზნები დაუშინა ვარნის ნავსადგურს. ყუმბარებს ესროდნენ აგრეთვე ჰიდროპლანებიდანაც. სროლამ საათს გასტანა, უშენდნენ ნავთ-საყუდელს, საწყობებსა და სანაპირო ბატარეებს. თვით ქალაქი ხელუხლებელი დარჩა. ჰაეროპლანებიდან და გემებიდან სროლას თვალ-ყურს ადევნებდნენ. ყუმბარები საუცხოვოდ აღწევდნენ მიზანს. სროლის დროს ჩვენი გემების წინააღმდეგ გერმანელთა წყალ-ქვეშა ნავებმა მიიტანეს იერიშები, მაგრამ ვერას გახდნენ. ამ მოქმედების გამო საინტერესოა აღნიშნოს, რომ იმავ დღეს ჩვენმა რადიოსადგურმა შემდეგი დეპეშა გადმოიღო გერმანელთა რადიოსადგურის მიერ გაგზავნილი სტამბოლს: „14 ოქტომბერს გერმანელების წყალქვეშა ნავებმა იერიში მიიტანეს რუსეთის ფლოტზე, როგორც კი მან სროლა დაუწყო ვარნას. მიუხედავათ მიღებულ ზომებისა, ერთი მებრძოლი გემი „პანტელეიმონის“ სახისა მძიმედ იქნა დაზიანებული, ამისშემდეგ რუსეთის ფლოტმა სროლა შესწყვიტა და სწრაფა გაეშურა სევასტოპოლისკენ“. აღნიშნული ცნობა წარმოადგენს გერმანელთათვის ჩვეულებრივ ტყუილს: ეს ნათლად სჩანს იქედან, რომ სროლის შემდეგ ფლოტი სევასტოპოლში დაბრუნდა: არც ერთი გემი არ ყოფილა დაზიანებული, არც ერთი მეზღვაური არ დაჭრილა, წყალქვეშა ნავების მოგერიებას ვარნას სროლისათვის ხელი არ შეუშლია, რადგანაც წყალქვეშა ნავებს საშუალო ყალიბის არტილერიით ვიგერიებდით, დიდი ზარბაზნები კი განაგრძობდნენ სროლას დაუბრკოლებლივ. სროლის შემდეგ ფლოტი იმავ გზით მწყობრად შემოტრიალდა ვარნას ნავსადგურში, გაუარა ქალაქს და შემდეგ გასწია თავის ნავსადგურისაკენ. რაც შეეხება ჩვენს მფრინავთა მოქმედებას, გამოირკვა, რომ მათ ჩაიგდეს 21 ყუმბარა ნავთსადგურის ტერიტორიაზე, თავის მოქმედების დროს მფრინავებს ძლიერ უშენდნენ მტრის ტერიტორიის მხრით, მაგრამ სროლა უშედეგო იყო; ჰიდროპლანები უვნებლად დაბრუნდნენ.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 16 ოქტომბერი. დღის ცნობა. გუშინ სასტიკი ბრძოლა ხდებოდა ენის ჩრდილოეთით ჰიუიზალენისა და კენნევიერის სექტორებში. შამპანში საარტილერიო სროლა გძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში იმავე რაიონებში ლაგაურსა და მეზონ-დე შამპანში, აგრეთვე ლაკურტანის საველე სიმაგრეებთან.

პარიზი. 15 ოქტომბერი. დღის ცნობა. ღამის განმავლობაში მხოლოდ უმნიშვნელო შეტაკება ხდებოდა მოწინავე რაზმებისა; ყველა შეტაკება ჩვენთვის ხელსაყრელად დასრულდა.

პეტროგრადი. 16 ოქტომბერი სახელმწიფო საათბიროს წევრებმა, სამხედრო და გზათა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიებში რომ

მუშაობენ, გადასწყვიტეს წინადადება მისცენ სათათბიროს წევრთ განსაკუთრებულ კომისიებში მომუშავეთ აირჩიონ თითო-თითო წევრი თავის მხრით საერთო გეგმის შესადგენად, რომელსაც ხელმძღვანელობით იქნება ყველა კომისიების მოქმედებისა და მათ მუშაობას გაერთიანებს.

სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელთა თათბირზე სინოდის ხარჯთაღრიცხვის დროს საჭიროდ ალიარეს სასულიერო კონსისტორიების რეფორმა და განსაკუთრებით განქორწინების პროცესისა, რომელიც სამოქალაქო მთავრობას უნდა დაუქვემდებარდეს.

რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა 6 ოქტომბერს განცხადებით მიმართეს იაპონიის ელჩს ლონდონში, რათა იაპონიის მთავრობა შეუერთდეს ფრანგების, ინგლისელებისა და რუსების მთავრობათა დეკლარაციას, რომელიც ლონდონში გამოქვეყნდა 23 აგვისტოს 1914 წელს.

დეკლარაციაში ნათქვამი იყო: „რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობანი ურთიერთშორის ხელშეკრულებასა სდებენ, რომ სეპარატიული ზავი არ შეკრან. არც ერთს მოკავშირეს არ შეუძლიან სხვებთან შეუთანხმებლად ზავის შეკვრა. 6 ოქტომბერს იაპონიის ელჩმა უპასუხა თავის მთავრობის სახელით, რომ სავსებით უერთდება აღნიშნულ დეკლარაციას.

გამოქცეულთათვის მზრუნავმა განსაკუთრებულმა თათბირმა საჭიროდ სცნო მიეცეს დახმარება ხაზინიდან ომისაგან დაზარალებულთა მიწის მესაკუთრეთ, სახლისა, სამრეწველოების და სახელოსნოების პატრონთ, აგრედვე მოიჯარადრეთა და საკრედიტო დაწესებულებაში ფულის მქონეთ.

ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ინგლისელთა სამხედრო მისია გენერალ მურეის მეთაურობით.

ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა სამხრეთის ფრონტი და გენერლებს შჩერბაჩევსა და ლეჩიცკის წმ. გიორგის მესამე ხარისხის ჯვარი თავისი ხელით უბოძა.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საუკეთესო საშუალება სამხედრო მასალების დასამზადებელ ფასის გასასტუმრებლად იქნებოდა, რუსეთმა იაპონიაში რომ მოკლევადიანი ვალდებულების ქაღალდები გამოსცეს.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

„ბირჟ. ვედ.“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ, მეფე კონსტანტინეს გოფომარშალმა მეფის სახელით სერბიის ელჩს ბალუგჩიჩს გაუცხადა, რომ საბერძნეთისა და ბულგარეთს შუა არავითარი მოლაპარაკება არ არსებობს და ათინის კაბინეტი წინანდებურათ მოკავშირეა სერბიისა, რომლისადმიც მეფე მეგობრული თანაგრძნობითა და პატივისცემით არის აღჭურვილი. შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატია აზგარიშს არ უწევს იმას, თუ რა ხურდა ამით ეთქვა მეფეს, რადგან ხელშეკრულობის ძალით, საბერძნეთი ვალდებული იყო ამდენხანსაც დახმარებოდა სერბიას.

— —

„ვეჩერნეე ვრემია“ პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ კრებაზე უთანხმოება მოხდა იმ საკითხის გამო, ჩაერიოს საბერძნეთი ომში, თუ არა. სამინისტროს კრიზისი აუცილებელია. შესაძლებლათ მიაჩნიათ ვენიზელოსის დაბრუნება.

— —

სოფიაში დაპატიმრეს 6 პოლკოვნიკი, რომელნიც რუსეთს თანაუგრძნობდენ. ბევრი დაატუსაღეს ბულგარელი აფიცრები, რომელნიც უკმაყოფილნი არიან მთავრობის პოლიტიკით.

— —

„რუსკია ვედ.“ ბუქარესტიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ბულგარელებმა ველესთან გადასჭრეს რკინის გზა და ამით მიმოსვლა შესწყვიტეს სალონიკსა და ნიშს შუა.

— —

„რუს. სლ.“ იუწყება, რომ გერმანეთის, ოსმლეთისა და სპარსეთის მთავრობებს შორის სრული შეთანხმება მოხდა ერთმანეთის დახმარებაზე.

— —

ბელორუსოვი „რუს. ვედ.“ დეპეშით ატყობინებს პარიზიდან, რომ საბერძნეთის უარმა კიპრის მიღებაზე აქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო. „ტემპს“ უკვირს დიპლომატების საქციელი, რომელნიც ფიქრობენ, დათმობით მოაწესრიგონ საქმე ბალკანეთში. ერთად ერთი საშუალება ამისათვის მხოლოდ ისაა, რომ შეთანხმების სახელმწიფოებმა თავისი სამხედრო ძლიერება გამოიჩინონ ბალკანეთში. ბერლინში იკვეხიან, რომ საბერძნეთი სულ ერთია კიპრს გერმანეთისგანაც მიიღებს, ამიტომ საბერძნეთი, ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ, საეჭვოა, რომ გამოვიდესო.

— —

„რუსკოე სლოვოში“ მიხალოვსკი სწერს: ლენსდოუნის სიტყვამ ლორდთა პალატაში ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. დღევანდლამდი სერბიიდან კარგი ამბები მოდიოდა, ხოლო უკანასკნელი დეპეშა სალონიკიდან გვამცნევს იმას, რომ სერბიელები სამი მხრიდან გარშემორტყმული არიან. ბულგარელებმა ფრიად დიდი წარმატება მოიპოვეს მაკედონიაში: მათ ხელში ჩაიგდეს არა მარტო აღმოსავლეთ მაკედონიის უსკიუბით, ნიშ-სალონიკის გზაც 166 ვერსის მანძილზე ვრანიდან კრივოლაკამდი და ამნაირათ სერბია მოკავშირეებს მოსწყვიტეს. ამავე დროს გერმანელების შეტევით სერბიელები იძულებული გახდნენ გაეწმინდათ ის მიდამოები, რომელიც დუნაიზე ეგრე-წოდებულ „ჟელეზნია ვოროტა-“სა, ტიმოკის ჭალებს შუა მდებარეობს. ამ მიდამოს დაცლით სერბიელები რუსეთს დაშორდენ რუმინიის ტერიტორიით. ფრანგებს უპირავს სტრუმიცის რაიონი, მაგრამ არ ვიცით მდ. სტრუმიცა, თუ თითონ ქალაქი სტრუმიცა. მხოლოდ თუ სერბიელებმა შესძლეს სკოპლეს (უსკიუბის) დაბრუნება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბალკანეთში საქმე მათ სასარგებლოთ შეტრიალდაო.

— —

ბუქარესტიდან „რუს. სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ბულგარელებმა უსკიუბი, კუმანოვო და რისტვაცი დაიჭირეს. უსკიუბის აღება ხელჩართული ბრძოლით იყო. ბულგარელები იტყობინებიან, ნემოტინი და პრახოვის ნავსადგური აიღეთო.

გერმანელების ცნობით, ბულგარელები ნიშს 40 კილომეტრით მიახლოებიან.

— —

როგორც „რუს. სლ.“ ატყობინებენ, სერბიელებმა ხელახლათ აიღეს ველესი. ბულგარელებს იშტიპი დაუცლიათ. ველენდოვთან ძლიერი შეტაკება მომხდარა ფრანგებსა და ბულგარელებს შორის. ბრძოლის შედეგათ ბულგარელების დახევა ყოფილა. ფრანგების ჯარს ბულგარეთის საზღვრამდი მიუღწევია.

— —

1) „რუს. ვედ.“ ატყობინებენ, რომ ორშოვა-ტეკიდის რაიონში გერმანელები დუნაიზე ახალი ჯარის გადაყვანას განაგრძობენ. გერმანელები, გადავიდენ რადრინაზე, შეეცადენ ვიშეგრადის აღმოსავლეთით პოზიციების ხელში ჩაგდებას. ამ ოპერაციის მიზანი იყო უჟიცის აღება და სერბიელების ზურგიდან მოვლა, რომელნიც ვალიევო-კრაგუევაცის ხაზით უკან იხევდენ.

— —

„რუსკ. ვედ.“ ბელორუსოვი პარიზიდან დეპეშით ატყობინებს, რომ საფრანგეთის კაბინეტის მეთაურათ ბრიანს ასახელებენო.

— —

როგორც „უტ. როსიი“ იტყობინება, მტრის ცეპელინები რიგის თავზე ფრენას განაგრძობენ. მათ 45 ყუმბარა ჩამოუგდიათ ქალაქში. მცხოვრებლები შეშინებულები არიან. დაზიანებულ სახლებიდან ავეჯი გააქვთ. მცხოვრებლები ქალაქს სტოვებენ. სტოვებენ.

— —

„ნოვოე ვრემია“ სწერს: რადგანაც გადამწყვეტ შედეგებს ვერ მიაღწიეს გერმანელებმა ჩვენი ჯარის ზავისლიანიდან და გალიციიდან გასვლის დროს, ახლა ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენი ჯარის შეტევაზე გადასვლას. შექმნილი მდგომარეობა ამ ჟამათ ხაზგასმით აღნიშნავს ავსტრო-გერმანელებისათვის სამ დიად ბრძოლის ფრონტს, რომელიც როგორც ერთმანეთზე, ისე რუსეთის ფრონტიდანაც ძლიერ დაშორებული არის. ავტორიტეტულ სამხედრო პირების რწმუნებით, რუსეთის ჯარის მდგომარეობა რიგა-დვინსკის რაიონში შეურყეველათ უნდა ჩაითვალოს.

— —

„ბირჟ. ვედომოსტის“ ცნობით, ბუქარესტში საალყო წესებია შემოღებული.

— —

როგორც „რეჩის“ კორესპონდენტი იუწყება სერბიაში ბრძოლა ძლიერ მწვავე ხასიათისაა. ომში მონაწილეობას იღებენ ქალები და ბავშვებიც. ბევრია მათგანი დახოცილი, ბრანოვისა და პასადიის მთებში. გერმანელ კორესპონდენტების ცნობით, გერმანელები ძლიერ ძნელათ მიიწევენ წინ. მაკენზენი მაშველ ჯარს ითხოვს. სამი ახალი კორპუსი უკვე მივიდა სერბიაში, მაგრამ ეს ძალა, როგორც სჩანს, საკმაო არ ყოფილა.

ზავის გარშემო.

თემთა პალატას გრაისმა მიმართა შეკითხვით: ხდებოდა თუ არაოფიციალური მოლაპარაკება პასუხისმგებელ პირთა შორის ბერლინსა და ლონდონში ზავის ჩამოგდების შესახებ და [illegible] გადადგმული ნაბიჯი ამ საქმეში ნეიტრალური სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენლების წინაშე და იცავს თუ არა პრემიერი გილპოლში მის მიერ წამოყენებულ განცხადებას. ლოიდ ჯორჯმა უპასუხა: „ასკვიტის სიტყვები ჯერ კიდევ ძალაშია. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს ზავის შესახებ მოლაპარაკება გავმართოთ იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას მოკავშირენი მოითხოვენ თანახმათ 1914 წლის სექტემბერში დადებულ პროტოკოლისა. ეს გარემოება ჩვენგან ყოველთვის ხაზგასმით იყო აღნიშნული და არ მესმის, რამ გამოიწვია ასეთი შეკითხვა“.

ბრაისმა ლოიდ ჯორჯს კითხვის პირველ ნაწილზე არა უპასუხა-რა ლოიდ-ჯორჯმა, როცა საკითხის ფორმულიროვკას გეცნო, აღფრთოვანებით შესძახა: „რასაკვირველია, არა“!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ ჩვენმა რედაქციამ ვანო უემლეურიძისაგან მიიღო 15 მანეთი ფული: 5 მანეთი გაზეთის სასარგებლოთ, 5 მანეთი ჩოხატაურის სამკითხველოსათვის და 5 მანეთიც სტუდენტების სასარგებლოთ ქ. ხერსონზე გადასაცემათ.

◆ ამ ჟამათ ქუთაისში ნავთი სრულებით აღარ იშოვება. მცხოვრებლები უნავთოთ დიდ გაჭირვებას განიცდიან. ბევრი სახელოსნო და დუქნები უნავთობის გამო ადრე იკეტება. საჭირო იყო ამ გარემოებისათვის ადრევე მიექციათ ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

◆ ფოშტა-ტელეგრაფის მთავარი სამართველო ამანათების გამგზავნელთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ფასდადებულ ამანათებში გადადებული ფული ვერ უბრუნდებათ გამგზავნელებს, რადგანაც სამართველომ მათი საცხოვრებელი ბინის მისამართი არ იცის. ფული ინახება საფოშტო დაწესებულებებში, ამიტომ საჭიროა მათ განცხადება შეიტანონ ან ფოშტა-ტელეგრაფის მთავარ სამართველოში, ან საფოშტო დაწესებულებათა იმ განყოფილებაში, საიდანაც გაიგზავნა ფასდადებული ამანათი.

მომქმედ ჯართან საფოშტო დამოკიდებულების ყოველ მხრივმა გამოკვლევამ

ჩინოვნიკი ბენდუქიძე.

(შემდეგი, იხ. „სამშობლო“ № 200)

III.

შალიკო—სუსტი და ფერ-მკრთალი, დინჯი, თვალების ბრძნული გამომეტყველებით, ემსგავსებოდა, როგორც გარეგნობით, ისე ხასიათით, მამას. მამა ძალიან უყვარდა და ყოველივე იმის სურვილებს სიამოვნებით და კრძალვით ასრულებდა. როდესაც ქაიხოსრომ შეაღო ოთახის კარები, შალიკო სიყვარულით მიესალმა მამას და ხელები კისერზე მოხვია, მხოლოდ დაფიქრებული ქაიხოსრო. შვილის ტრფიალ-მუდარას გულ-ცივათ, თითქოს აზრ დაბნეულად და უყურადღებოთ, შეხვდა... როდესაც მათი მხედველობა შეერთდენ, მამამ ვერ მოითმინა და სიმწრის ორი ცრემლთა წვეთი წარმოსდინდა მის თვალებს. შალიკო სისწრაფით ჩამოსცილდა და ნაღვლიან სახით გააყოლა თვალები დაფიქრებულ მამას, რომელიც საწოლ ოთახისაკენ თავჩაქინდრული, თითქოს დამუნჯებული, მიდიოდა...

შეხედა თუ არა მარინემ ოთახში შემოსულ ქმარს, რაღაც მსწრაფლ იგრძნო, რომ ის ხელ ცარიელი დაბრუნდა...

— ერთი კაპეიკიც არა?...—წოკლედ და გადაჭრით შეეკითხა მარინე ქმარს.

— ყურ გახვრეტილი...-ამოიოხრა უძლონოთ ქაიხოსრომ და ცდილობდა მარინესთვის არ შეეხედა.

ქაიხოსრო გრძნობდა, თუ ამ წუთში რა მდგომარეობაში იქნებოდა მარინეს გესლიანი და მკაცრი გული.

— კეთილი!.. მაშასადამე, ხვალაც უსადილოთ ვრჩებით?

— ხვალ?.. ხვალ გვექნება... ღმერთი შეგვიცოდებს... მოვიფიქროთ... ნუ ჯავრდები!.. ეხლა კი ვახშამი ვჭამოთ!.. ბავშვები უსადილოთ დარჩენ?—და ცალი თვალით ნაღვლიანათ გადახედა თინას და სონას, რომლებიც იატაკზე ლეიბის ამარა იწვენ და ღრმა ძილს მისცემოდენ. ვერ მოითმინა იმის გულმა და ორთავეს, მუხლმოდრეკილმა, მხრვალე კოცნა მოჰპარა.

— ოხ, ღმერთო ჩემო!..—მძიმედ ამოიხვნეშა ქაიხოსრომ და ზეზე წამოდგა.—ქალო! მე მხოლოდ თორმეტი კაპეიკი მაქვს... იქნება შენც...

მარინემ მრისხანებით მოკუმშა თავის პატარა წარბები და გაბრაზებული შეაცქერდა ქმარს. პირი-სახეზე კი, ელვის სისწრაფით, გაუნავარდა ზიზღის ღიმილმა.

— მარინე!... რისთვის მიცქერი ეგრე გაბრაზებული?—შეეკითხა მორჩილებით ქაიხოსრო.

— მაშ, რა მოგიგო მაგ ბრიყვულ კითხვაზე: „იქნება შენც“... მე ვინ მომცა ფული?

— მერე, გულ-დამშვიდებით მაინც გეთქვა... რომ არა...

— დიახ, დიახ!.. არა მაქვს!.. ეხლა ხომ გაიგე!..—და კვლავ ცეცხლის ალივით აენთო.

— ვახშამი მაინც ვჭამოთ... ცოდვაა ბავშვები... გაალვიძე...—ოდნავ წაილუღლუღა ქაიხოსრომ და ოთახის დაობებული კედლები აათვალ—ჩაათვალიერა.—გაგზავნე...

ქაიხოსრომ უბრძანა შალიკოს, რომელიც გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო და მამას ფართე თვალებით უცქეროდა, რომ მოჯამაგირესთვის დაეძახა.

ივანიკა ფეხ-აკრეფით შემოვიდა ოთახში და კრძალვით, თანაც მორჩილებით შეჩერდა. უწინარეს ყოვლისა ქალბატონს შეშინებული შეაცქერდა.

— ივანიკა!.. თუ კაცი ხარ წადი მეპურესთან და... და წამოიღე ახალი... დღევანდელი პურები... აე, ერთი აბაზის... ანუ ექვსი შაურისა...

— ბატონი ბრძანდებით!..—მიუგო ივანიკამ ოდნავ გასაგონარ ხმით და, ვით დამბლა დაცემული, იმავე ალაგს უმოძრაოთ დადგა.

— რისთვის არ მიდიხარ?—შეეკითხა ქაიხოსრო რამოდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს არ იცოდა მიზეზი ივანიკას იქ დგომისა.

— ბატონო, ფული...-ჩუმათ წარმოსთქვა ივანიკამ და ერთიც მძიმედ ამოიხვნეშა.

— ისე... წამოიღე... გენდობიან... შემდეგ მივსცემ.

— ნისიათ არ მაძლევენ, ბატონო!..

— კეთილი! უთხარი იმათ, რომ... ეჰე, როგორმე დაიყაბულე... აბა, შენ იცი...

— არ მაძლევენ, ბატონო! მითხრეს, ვიდრე შენი ბატონი ძველ ნისიებს არ გაგვისწორებს, მანამდის არას და არას მიზეზით მეტს აღარ ვენდობითო...

— დაჩუმდი, ტუტუცო!.. ბრიყვო!.. უეცრათ წამოიკივლა მარინემ და ივანიკასკენ მომუჭულ ხელით მიიწია.—რასაც ბატონებზე გაიგონებ, ყველაფერი უნდა დაფქვა?... აა?! შე სულელო, შენა! ნამდვილი, ქვევრი ხარ, ქვევრი!.. ბრიყვო, გაუზდელო!..

მოჯამაგირე შიშის ჟრუანტელმა დაიმორჩილა, ორიოდე ნაბიჯი უკან გადადგა და ვით მუნჯი, პირი შეკრა. შალიკომ მორცხვად თვალები ძირს დაუშვა, ბაბულია კი, რომელიც ამ სურსათ თავიდან ბოლომდე გულ-მშვიდათ უცქეროდა, ზიზღით შეაცქერდა ივანიკას.

— მარინე!—ნაწყენის კილოთი წამოიძახა ქაიხოსრომ.

— გაეთრიე ეხლავე აქედან!..—წყრომით შეჰკივლა მოჯამაგირეს მარინემ.—რა მარინე?.. რა, რა გინდა?—შეეკითხა მრისხანებით ქმარს, როდესაც ივანიკამ ოთახი დასტოვა და სამზარეულოსკენ დამცირებული წავიდა.—არ მსურს მე ყური უგდო ასეთ ბრიყვულ ყვედრებას!.. ღმერთო კი მომკალი!.. როგორ, მოჯამაგირეს წინ დავექვეითებ და მოვიკატუნებ თავს? აი, მეხი კი დაგეცათ შენცა და ივანიკასაც!

ამ სიტყვების შემდეგ, მარინემ აღელვებული სახით წინ და უკან ჩქარი სიარული იწყო პატარა ოთახში, რამაც, პირიქით, უფრო გააბრაზა. მრისხანებით მიხალა კარი კარს და მეორე ოთახში გულ-მოსული გავიდა.

ქაიხოსრო კი გაბოროტებული სახით შესცქეროდა ოთახის ჭერს და ჭერის ერთ წერტილს თვალებს არ აშორებდა...

რასაკვირველია, თორმეტ კაპიკს ხომ ფული არ ქვია; გაქვს ის, თუ არა,—ხომ სულ ერთია!.. იმის ქონას ოჯახის კაცისთვის,—სულ არ ქონა სჯობია!.. მაგრამ ქაიხოსროსათვის ეს თორმეტი კაპეიკი მთელ სიმდიდრეს შეადგენდა... ამით მას უნდა გამოეკვება მშიერ—აწყურვილე ცოლ-შვილი და, ვინ იცის, რამდენ დღისათვის უნდა გაენაწილებია... ბევრი ფიქრის შემდეგ, ის შევიდა სამზარეულოში, ივანიკა, რომელიც საწოლ თაროზე გულ ხელ დაკრეფილი და ღრმად ჩაფიქრებული იჯდა, ცოცხლად წამოდგა ზეზე და ბატონის წინ თავდახრილი გაშეშდა.

— ივანიკა... წადი ჩქარა და პური მოიტანე!..

— ამ სიტყვებთან ერთად, ქაიხოსრომ გადასცა, მოჯამაგირეს გამოწვდილ ხელს თავის „სიმდიდრე“.

— ბატონო!..—მიუგო, შეწუხებულ სახით ივანიკამ,-გეფიცებით გაჩენს, მე ერთი კაპეიკი არ მაქვს... თორემ...

— ოხ, ვიცი მე! ვიცი, რომ არ გაქვს... სირცხვილით დაადასტურა ივანიკას სიტყვები ქაიხოსრომ და სამზარეულოდან ჩუმათ, უსიტყვოდ გავიდა.

ივანიკამ თავისუფლათ ამოისუნთქა და მეპურესთან გაიქცა.

ჩინოვნიკ ბენდუქიძის ოჯახში დიდი და პატარა არა სახუმროდ დამშეულიყვნენ. იმათ ვახშამს შეადგენდა: თორნის ოთხი პატარა პური, ხახვი, მარილი და ცივი წყალი. ნავახშმებს, წამლათ ანუ შეწუხებულ გულის მოსაბრუნებლათ რომ დაგჭირებოდათ ლუკმა პური, ერთ პურის ნატეხსაც ვერ იხილავდით თვალით, ისე შეეჭამათ... ქაიხოსრო სიამოვნებით შეჰამდა კიდევ ორ-სამ პურს, მაგრამ სად იყო?

„რა იქნება ხვალ დილას? საუზმე არ გვინდა?.. ოხ, ოხ, ღმერთო ჩემო!..“ ყოველ წუთის განმავლობაში ეკითხებოდა ბენდუქიძე თავის თავს და ამ ფიქრებით შუბლზე სიმწრის ცივი ოფლი ასკდებოდა.

„ასე თუ ისე, ჩვენ ხვალაც უსადილოთ ვრჩებით?..“—ოდნავ ამაღლებული ხმით წაიჩურჩულა ქაიხოსრომ და თავი ნაღვლიანათ ძირს ჩაჰკიდა.

— ივანიკა როგორმე დაგვიხსნის ასეთ გაჭირებიდან!..—კვლავ წაიჩურჩულა ქაიხოსრომ.

მარინემ, ამ სიტყვების გაგონებაზე, ზიზღის სიცილი ასტეხა.

— დიახ!.. სასიამოვნოა, მართალი გითხრა, ეხლა ძილი იმ იმედებით, რომლის განხორციელება ბრიყვზე ჰკიდია!..—ყოყმანობით ჩაილაპარაკა მარინემ.

ბენდუქიძე დაჩუმდა.

— თუ შეიძლებოდეს, მე განმათავისუფლე!.. შენ იცი და შენმა ივანიკამ... მე თქვენ საქმეებში არ ვერევი!.. მხოლოდ თავიდანვე ამას გეუბნები, რომ ხვალ საუზმე და სადილი აუცილებლათ უნდა დამხვდეს, როდესაც საწოლიდან ავდგები, თორემ... ამდენი მოთმენა არ შემიძლია... ლამის გავგიჟდე!..

— კარგი, კარგი!.. მე თითონ მოველაპარაკები და მე თითონვე მოვახერხებ...

— დიახ, დიახ!.. კვლავ გიმეორებ, მე განმათავისუფლე ამ „სიამოვნებისაგან“..

— მარინე!.. კმარა... ხომ გითხარი ერთხელ, რომ გაგათავისუფლებ... კმარა აწი მაგაზე ლაპარაკი... გეფიცები ღმერთს, ზედ მეტია... არა გრცხვენია, რომ სულ ერთ და იმავე სიტყვებს ჩამსძახი ყურში... შვილები ნუ მომკვდება, თავი მეტკინა!..

— რა? კიდეც მიყვირი?.. გველივით წაისისინა მარინემ.

— მე სრულებითაც არ გიყვირი!.. ჩვეულებრივი ხმით გელაპარაკები...

— სტყუი!.. ყვირი და კიდეც მიწყრები!.. რა ჩემი ბრალია, შენ რომ ფული არ გაქვს?..

— ვგონებ, მე შენ სრულებითაც ბრალს არ გდებ და არც...—ქაიხოსროს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ, ყელში სისხლ

დაგვარწმუნა, რომ უმთავრეს მიზეზათ ამანათების ჩაუბარებლობისა სამხედრო პირებზე გადასაცემათ, უნდა ჩაითვალოს მისამართის არა სისრულით აღნიშვნა, რომ ესა თუ ის პირი (აფიცერი, ან ჯარისკაცი) რომელ ჯარის ნაწილს ეკუთნის. ამიტომ მთავარი სამართველო შემდეგს აცხადებს: მოქმედ ჯარში ამანათების გაგზავნის დროს საჭიროა: დასახელება ჯარის ნაწილისა, (პოლკი საარტილერიო ბრიგადა და სხვა) ჩინი, სახელი, მამის სახელი და გვარი მიმღებისა. მაგალითად:

ა) **მოქმედი ჯარი. 141 მოჟაისკის ქვეითა პოლკი მეოთხე როტის ჯარის კაცს ვასილ პეტროვს.**

ბ) **მოქმედი ჯარი. 32 საარტილერიო ბრიგადა შტაბკაპიტანს სერგი ნიკოლოზის ძეს ოსიპოვს.**

2) ქვეითა ესკადრონებისა და როტების მოხელენი ამ ნაწილებში ძლიერ ცოტა ხნით რჩებიან და შემდეგ სხვა და სხვა პოლკებში გადაყავთ, რის გამოც ამანათის ჩაბარება ძლიერ ძნელდება. ამიტომ საჭიროა ამანათების გაგზავნა ადგილობრივ შეჩერდეს იმ დრომდი, ვიდრე ადრესატისგან სწორი მისამართი მოვიდოდეს რომ იგი ამა თუ იმ ჯარის ნაწილშია გადარიცხული.

◆ ოთხშაბათს, 21 ოქტომბერს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დარბაზში მ. დ. დუნდუას პროფესიონალურ კერძო პროგიმნაზიის სასარგებლოთ გაიმართება დრამატიულ-ვოკალური საცეკვაო საღამო. ბ-ნი ნეშოს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ჩეხოვის 1 მოქ. პიესა „დათვი“.

◆ ხუთშაბათს 22 ოქტომბერს ქუთაისის ქართულ თეატრში დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 4 მოქ. პიესა ვიქტორ სარდუსი, თარგმანი კ. მესხისა, „მადამ სან-ჟენ“.

◆ შაბათს, 18 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში, დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობილი პიესა „ქრისტინე“ საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

◆ სოფ. კურსების მცხოვრებლებმა დაადგინეს დაარსონ კურსებში მომხმარებელი საზოგადოება „ოკრიბა“ წესდება დასამტკიცებლათ ბ. გუბერნატორს უკვე წარუდგინეს.

◆ კვირას არქიელის გორაზე აკურთხეს იმერეთის ეფისკოპოსის კანცელარია. კანცელარია ახალ ბინაში უკვე გადავიდა.

◆ კვირას, 18 ოქტომბერს, ქუთაისის დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქნა კ. მესხის გადმოკეთებული 4 მოქმედებიანი პიესა „სამშობლოს სადიდებლათ“

◆ კვირას, 18 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მეთაურობით ლექციები.

◆ ქუთ- წერ. კითხვის საზოგადოებამ გადასწყვიტა წელს ჩვეულებრივათ 27 ოქტომბერს, გამართოს ილიას საღამო. ამ საღამოსთვის განსაკუთრებული ლექსების მკითხველი ნ. ერისთავი და პიანურის დამკვრელი ვოლფ იზრაელი იქნება მოწვეული.

◆ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ 8 მან. შესწირა ბრაბ. აკაკი ბერეკაშვილმა.

თეატრი და ხელოვნება.

1) **ურიის სისხლი.** დრამა 3 მოქმ. ჰანრი ბერნშტეინისა, თარგმ. შალვა დადიანისა. 2) **ხოლმეროზა**, ვოდევილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

ურიის სისხლი! ვინ იცის, ვის რა გრძნობას აღუძრავდა ეს ორი გრძნეული სიტყვა, როდესაც აფიშები გამოაკრეს.

ურიის სისხლი! ვინ იცის, ვის რას აფიქრებინებდა ეს ორი უცნაური სიტყვა, როდესაც თეატრისკენ მიეშურებოდნენ.

ურიის სისხლი! განა მოიპოვება მეორე რამ სახელი, მეორე რამ ბგერა ხმათა და სხვა და სხვაობა აზრთა, რომელნიც ჩაქსოვილნი არიან ამ ორ სიტყვაში?..

ურიის სისხლი! განა არსებობს—და სხვა თქმა ამ ორ სიტყვაზე დრამატიული და ამ ორ სიტყვაზე მწარე ისტორიის მატარებელი შემეცნება?

მას შემდეგ, რაც ევროპის ცნობილ სახელმწიფოებში ქრისტიანობ ოფიციალურ სარწმუნოებათ გამოცხადდა, მას შემდეგ, რაც ეკლესია შეეუღლა მთავრობას და დაჰკარგა თავისი პირველ ყოფილი სახე, სახე სადა, წმინდა, პოეტური, იდეალური; მას შემდეგ რაც ჯვარცმულის სახელით პაპებმა და მსგავსთა მისთა დაიწყეს დიდი მოძღვრება ნაზარეველისა და ქრისტეს სახელით პოლიტიკურ უფლებათა ხელში ჩაგდება მოინდომეს, დადგა შავბნელი, უბედური დღე ურიათათვის და მთელი შემდეგი ისტორია—ისტორიაა ტანჯვისა, ცრემლისა და მწუხარებისა იმ პაწია ერისათვის, რომელმაც მისცა კაცობრიობას იდეა ერთ-ღმერთობისა, იდეა სახელმწიფოებრივობისა, იდეა თავის დადებისა, რწმენისა და მამულისათვის. ერთ ახრავლისა, რომელმაც წარმოშობა უდიდესი მსაჯულნი და ბელადნი ხალხისა და შემდეგ ურიასტანი, რომელმაც მისცა კაცობრიობას იესო ნაზარეველი,—შექმნა თითით საჩვენებელ ერად, არა იმიტომ, რომ მან დიდი ამაგი დასდო კაცობრიობას, არამედ იმიტომ, რომ ოდესღაც, ერთმა ჯგუფმა, ერთმა დასმა ურიებისამ „მწიგნობართა და ფარისეველთა“ ჯვარს აცვეს ღმერთი-კაცი იესო—მქადაგებელი ძმობისა, ერთობისა და თავისუფლებისა.

საზიზღარი მოქმედება ფარისეველთა, მოქმედება, რომელიც საუკუნიდან საუკუნემდე მეორდება ყველგან და ყველა ერების გაბატონებულ კლასებისაგან, ეკლესიამ და ოფიციალურმა ქრისტიანებმა თავს მოახვიეს მთელს ერს, მთელს მოდგმას ამ ერისას და დღესაც—მეოცე საუკუნეში ერი ისრაელისა ითვლება შერცხვენებულათ, წყეულათ, საზიზღრად...

უსამართლო, ჯიუტი და თავქერიშა მარტო ერთეულები არა ყოფილან. უსამართლო, ჯიუტი თავქერიშა გამოდის ამ შემთხვევაში ოფიციალური ნაწილი მთელი კაცობრიობისაც, რომელიც შვილიდან შვილამდე, მოდგმიდან მოდგმამდე, თაობიდან თაობამდე, საუკუნოებიდან საუკუნოებამდე შეურყეველის და შეუბერებელის დაჟინებით, გადასცემს უმაღლესს დრამატიზმით აღსავსე თქმულებას ნაზარეველის ტანჯვისას და ასწავლის, აგონებს, რომ ამ ტრაღედიის ჩამდენი იყოვო ერი ისრაელისა!. ხალხი, ბრბო, ბრბო უილაჯო უვიცი, ბრბო მონა ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ბრბო ყურმოჭრილი ყმა ეკლესიისა—იმეორებს ამ ძახილს, არა! კი არ იმეორებს მარტო!... თავისებურათ აფერადებს. ჰქარგავს შეუკავებელის ფანტაზიით და ჰქმნის ისეთს ძლიერს თქმულებას მართალი კაცის ტანჯვისას, რომელ თქმულების ზეგავლენით ზიზღითა და ბოღმით ივსება გული თითოეულის მორწმუნისა...

ამ გვარად, ცოდვა ერთის ჯგუფისა გადაიქცა ცოდვათ მთელის ერისათვის, ზიზღი და სიძულვილი ერთის ჯგუფისადმი გადაიქცა ზიზღად და სიძულვილად მთელის ერისადმი. და შეიქმნა ზღაპარი იგი დაუსრულებელ წყაროდ ებრაელთა დაუსრულებელ დევნისა, ტანჯვისა და წვალებისა.

(დასასრული ხვალ)

მგოსანი ცახელი. *)

(მოწაფის ხმა)

ვინ არ იცის—თუ ვინ არის ცახელი!

რომელი ქართველი, ქართველი, რომელიც სულითა და გულით, აზრით, ფიქრითა და ქართველური უანგარო გრძნობით შესტრფის, შეხარის თავის ტურფა, კეკლუც და მშვენიერებით აღსავსე სამშობლო ქვეყანას, არ დამტკბარა მისი ჩანგის სპეტაკ სიმთა თავისუფალი ჟღერით და ჰანგთა ზე-ამფრენი ჰარმონიით?..

ვის არ უგემია სიტკბო ამ საყვარელი მგოსნის ნიჭის შემოქმედებისა?

ვინ არ წარუტაცია მის ლექსებს პოეზიის სამფლობელოში?

დიახ, მას იცნობს თავის პაწა საქართველოში ქართველი ხალხი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მას იცნობს მთელი მოზარდი თაობა, ნორჩი ახალგაზრდობა, მთელი ქართველი მოწაფეობა და ვიცნობ მეც!

ბავშვობიდანვე შემიყვარდა მისი „გურჯენ რაინდი“ და მასთან ერთად შემიყვარდა ცახელი. მთელი ჩემი ალმაფრენით მე თაყვანს ვცემდი ამ სახელს. და მარადჟამს, მუდამ სურვილი მქონდა პირადათ მენახა, გამეცნო იმ მგოსნის პიროვნება, რომლის შემოქმედებამაც ეგრე დაიპყრო, გაიტაცა და დაიმორჩილა ჩემი სული და გრძნობა!

მიყვარდა ილია; მიყვარდა აკაკი; მიყვარდა ცახელიც!

მე მრწამს, მჯერა, რომ ყოველ მომაკვდავ არსებას, ყოველ პიროვნებას, ვისაც კი უყვარს პოეზია, შეუყვარდება ცახელიც!..

განვლო დრომ და ჩემი სულიერი ლტოლვა და სურვილი აღსრულდა. ადგილობრივი კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასში ვიყავი, როდესაც ქართული ენის მასწავლებლათ დაგვინიშნეს ცახელი. ჩვენ, მოწაფეები, კარგად ვიცნობდით მის ლექსებს, მის შემოქმედებას, მაგრამ პირადათ მგოსანს კი არა... სრული სიჩუმე, სამარისებური მყუდროება სუფევდა კლასში, როდესაც მის შემოსვლას ვუცდიდით. მალე თვით მგოსანიც შემოვიდა, სახეზე ღიმილი უკრთოდა. მოგვესალმა და გაგვეცნო. შემდეგ ტკბილი [illegible] საუბარი და მთელი ჩვენი ყურადღება სრულებით დაიპყრო, დაიმონავა. ჩვენ, სულგანაბული ვუმზერდით მგოსანს და სმენად ქცეულნი ყურადღებით ვუსმენდით მას, რომლის ბაგეთაგან გვესმოდა სამშობლოს ტრფიალება, მისდამი პატივისცემა და სიყვარული. ის მოგვითხრობდა ჩვენ საქართველოს წარსულზე, აწმყოზე, სვე-ბედზე, გულის თქმაზე, ტკივილებზე, გასაჭირზე და მდგომარეობაზე. მის სიტყვებში რაღაც იდუმალი ნაღველი და სევდა იყო ჩაქსოვილი, როდესაც ის სამშობლოს გულის იარებსა და წყლულზე გველაპარაკებოდა. გვთხოვდა მუდამ, ვყოფილიყავით მთელი ჩვენი არსებით ჭეშმარიტი ქართველები, ვინაიდან, ამბობდა მგოსანი, მოზარდ ახალგაზრდობაზე არის დამოკიდებული და დამყარებული საქართველოს კეთილდღეობა. საუბრის დროს თვით მისი თვალებიც გრძნობით გამოიყურებოდნენ, თითქოს ისინიც მუსაიფობენო. თითოეული მისი სიტყვა, სიტყვა იმედით აღსავსე, გულის სიღრმეში ბრძოლის ცეცხლის ნაპერწკლებს გვიღვივებდა... ჩვენც გულმოდგინებით ვმუშაობდით, ვმეცადინობდით, რათა მისი იმედი არ გაგვეცრუებინა.

სულ მოკლე ხანში მთელი ქართველი მოწაფეობა [illegible] მისადმი ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით... ხშირად დავდიოდით მგოსნის სახლში, რომლის კარებიც მუდამ ღია იყო ყოველი მოწაფისთვის... ერთი სიტყვით, ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელ-მგოსანი, გვიყვარდა სულითა და გულით. მახსოვს, ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფობის გამო მგოსანი გიმნაზიაში არ ყოფილა. მოწაფეები ძლიერ შეწუხებულნი ვიყავით ერთი თვის შემდეგ, ერთ დღეს, მეოთხე გაკვეთილის დასრულების შემდეგ, როდესაც მოწაფეები დასასვენებლათ გამოვედით, ატყდა უცნაური ტაშის ცემა და ქართული სიმღერა. ჩვენ, უფროს კლასიანებმა, არ ვიცოდით რას ნიშნავდა ეს სურათი. აღმოჩნდა, რომ ცახელი, ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მოსულიყო და მოწაფეები აღტაცებულიყვნენ. მოწაფეთა გროვით გარშემორტყმული მგოსანი ნელის ნაბიჯით მოდიოდა და ყველას სალამს აძლევდა... ტაშის ცემასა და „ვაშას“ ძახილს დასასრული არ ჰქონდა. ეს სურათი მარად ცოცხალი

---

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ წერილს ახალგაზდა ქარველისას. სჩანს, თუ „ძველი თაობა“ პირადობამ გადაგვიტანა, ახალი თაობა მაინც ფიქრობს და ზრუნავს ნაამაგარ მგოსნის პატივისცემაზე, რაც დიდათ გამამხნევებელია ყოველივე მოღვაწისათვის ამ დუხჭირ და არეულ-დარეულ დროში. რედ.

მომდგარმა, ვერ შესძლო დასრულება წინადადებისა და შეწყვიტა.

— რა, რა?.. აი, ბიჭო!.. კარგი დაგემართოს, კარგი ჭკუისა შენ ყოფილხარ!.. შე გამოჩურჩუტებულო, შენა!...

— მარინე!.. თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს!—შესთხოვა მარინეს ქაიხოსრომ და მის სახეზე რომ ცოლს მღელვარება არ შეემჩნია, წამოდგა ზეზე და ოთახში წინ და უკან სიარული იწყო.—მარინე! გფიცავ გამჩენს, სადაც არის მოთმინებიდან გამოვალ და... არ ვიცი სიმძაფრე სასოწარკვეთილებაში მყოფი რას ჩავიდენ! მეყო ამოდენა ტანჯვა და გულის ხეთქა...

ამ სიტყვების გაგონებაზე, მარინე გულმოსული წამოხტა სკამიდან.

— აი, მეხი კი დაგეყარე თავზე!.. მე?.. მე კი—მხიარულათ ვარ? ა—ა?—გულშემზარავათ წამოიკივლა მარინემ. | დიახ!.. კვლავად გიმეორებ, ხვალ დილით, როგორც საუზმე, ისე სადილი უნდა დამხვდეს!.. რაც გინდა, ის ქენი, თუნდ თათრებს დაეგირავე, მხოლოდ მე მომიარე და არაფერი მომაკლო, შენი შვილები თუნდა წყალმა წაიღოს, ოღონდ მე კარგათ ვიყო, თორემ... გესმის თუ არა? ხომ იცი, უეჭველათ ავიშლებით მე და შენ!..—გულმოსული გავიდა მეორე ოთახში და კარი კარს, წინანდებურათ, მრისხანებით მიახალა.

„საყურეებს დასაგირავებლათ არას და არას გზით და მიზეზით არ მოგცემ!..—გადაწყვიტა გულში მარინემ და კარების იქით მიიმალა.—ვიცი მე შენი ხრიკები, შე ბებერო ძაღლო, ძველო ხუნაგო!..“

IV

ქაიხოსრო ბენდუქიძემ ნაღვლიანათ გადახედა შვილებს. ბაბულია, მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობილი, დრო გამოშვებით, უსაქმობისა გამო, სხეულის გაზმორებით, ამთქნარებდა. შალიკო კი იმავე ადგილს, ოთახის იმავე კუთხეში ჩუმათ იჯდა და მწარე ფიქრებს მისცემოდა...

„ეჰ, ეხ!.. რა ღვთის გაწყრომაა!.. ბავშვები ყოველთვის ესწრაფიან ამ გვარ „სურათებს“.. ფიქრობდა ქაიხოსრო.—გავიწუდება მათი აქ ყოფნა და გაბრაზებული რაებს არ წამოროშავ!.. აბა, სად უნდა წავიდე? ჯანდაბაში ხომ არ დავიმალები?.. ორი ცალი ოთახი მიქირავს და ისინიც ხომ ყოველთვის აქ არიან... აბა, სად წავლენ?.. ეხ, ეხ, ჩემი საქმე, ეშმაკმაც კი არ იცის, როგორ მიდის!..“

ქაიხოსრომ გადაწყვიტა ხვალინდელ სადილის შესახებ მოლაპარაკებოდა ივანიკას და ამ მოსაზრებით გაეშურა სამზარეულოსკენ. როდესაც სამზარეულოში შევიდა, იქ სრულიად ბნელოდა.

— ივანიკა, გძინავს?—ჩუმათ წამოიძახა ქაიხოსრომ.

— არა ბატონო!—მოისმა პასუხი ივანიკა მსწრაფლ წამოხტა სკამიდან, რომელზედაც, როგორც ჩანდა, დაფიქრებული იჯდა.

— ასეთ სიბნელეში რისთვის ზიხარ?

— ბატონო, ტყუილათ რათ დავსწვა ნავთი!.. ფულები იწვის...

ივანიკამ ამ სიტყვებთან ერთად, ახალუხის ჯიბეში წუმწუმას ძებნა დაუწყო მხოლოდ ამ დროს, ქაიხოსრომ მსწრაფლ გულში გაიფიქრა, რომ ასეთ სიბნელეში უფრო თავისუფლად და უსირცხვილოდ მოელაპარაკებოდა მოჯამაგირეს და იმიტომ ერთ ხანს შეაჩერა.

— არ გინდა...—უთხრა მას ქაიხოსრომ.—მე მხოლოდ ორიოდე წუთით შემოვედი... ივანიკა... ორი დღის შემდეგ მე ფულს მივიღებ. ხვალისთვის კი ერთი კაპეიკი არ მაქვს... როგორმე მოახერხე ხვალინდელი სადილი... ფული... მეთონესთან მიდი... იქნებ პური მოგცეს... ნისიათ... აგრეთვე მეხორცესთანაც მიდი... შეეხვეწე... იქნება იმანაც... ღმერთს შეხედოს და შევიცოდოს... ერთი სიტყვით—ყველაფერი რაც კი საჭიროა... შენი იმედი მაქვს... თითონვე მოისაზრე... როგორც სჯობია... აბა, შენ იცი თუ ამ მდგომარეობიდან გამომიყვან... ერთად-ერთი იმედი შენზე მაქვს დანდობილი... ქალბატონს ნუ დაენახვები... ხომ იცი? რადგან უქეიფოთ არის... და მოისვენოს...

— ბატონო!—მოისმა ჩუმი, მაგრამ ცრემლით ნარევი, ხმა ივანიკასი.—ღმერთმანი!... ნისიათ არვინ არ მაძლევს... მეცინიან კიდეც... სხვა რამ მოვიფიქროთ...

— ეხ, ეხ!.. არ ცდილობ, თორემ... მაშ, ფული ისესხე... ამხანაგები და ნაცნობები ხომ... უეჭველათ გასესხებენ. რასაც დახარჯავ—მას ორი დღის შემდეგ გაგისწორებ!.. ზეგ ანუ მას ზეგ ფული, ყოველ მიზეზების გარე, მექნება...

— ვის უნდა დავესესხო, ბატონო? ერთ შაურსაც არ მენდობიან,—ყველის მმართებს... გფიცავთ იესო ქრისტეს—ყველასი... არ არის ისეთი ადამიანი, თქვენი გამოისობით, ვისიც ფული მე არ მმართოს!.. არ ვიცი სწორეთ როგორ უნდა მოვიქცე?.. შეწუხებულათ დაიბოლავა ივანიკამ. შემდეგ ორიოდე წუთმა განვლო სამარისებულ სიჩუმეში...

— ბატონო!.. დასაგირავებელი ნივთი არა გაქვთ? ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულით კითხა ივანიკამ.

— შენ თვითონ აკი დაავგირავე, რაც კი გამაჩნდა!.. შენ ხელში აკი გაიარა... შენი საათიც დაგირავებულია, განა? სულს ხომ ვერ დავაგირავებ. არაფერი არ მაქვს...

კვლავ ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე და ორთავე მწარე ფიქრებს მიეცნენ.

— ბატონო!—ხელმეორედ შეეკითხა ივანიკა ქაიხოსროს, მხოლოდ უფრო დაბალი ხმით.

— რა?..

— მომითმინეთ!.. ერთი რამე მოვიგონე... ჩემს ახალ საცვეთებს და ფარაჯას შაქროს დავუგირავებ!..

— შაქრო ვინ არის? რა კაცია?..—სიხარულით წამოიძახა ქაიხოსრომ.

— სირაჯია, ბატონო! ფული აქვს... შეძლებულია!..

— ოჰ! კეთილი, კეთილი!.. მაგრამ.. რა ვქნა... მე თუ არა, ივანიკა, ღმერთი დაგიხსომებს და სამაგიეროს გადაგიხდის!..

— რავა გეკადრება, ბატონო!.. გფიცავთ მოხუცებულ მშობლებს, შეცოდებით! მაგრამ, ნაქურდალი რომ ეგონოს, მაშინ...

— როგორ შეიძლება! უკიდურეს შემთხვევაში ხელ-წერილი მიეცი. მაშ, ხვალ დილით წაიღე ეხლა დრო არ არის... ღამის ათი საათია... სირაჩხანა დაკეტილი ექნება!.. ხვალ კვირაა და სახლში ნახავ...—და ამ სიტყვებით ქაიხოსრო სამზარეულოდან გავიდა, გახარებული შევიდა ოთახში და სავარძელში მოსხლეტილათ ჩავარდა. ივანიკა კი იქ დარჩა და მწარე ფიქრებს მიეცა.

როდესაც ქაიხოსრო სავარძელში მოსასვენებლად ჩაეშვა, არ გასულა ხუთი წუთი, რომ მეზობელ ოთახიდან მოისმა გულ-შემზარავი ყვირილი და ხმაურობა, რამაც ქაიხოსროს ძარღვები მთლად აუშალა, მსწრაფლ წამოდგა ზეზე და გავიდა იმ ოთახში, საიდგანაც ყვირილი მოისმოდა.

— შენ!.. დიახ, შენ მაგ სიტყვებისათვის ბრიყვი და სულელი ხარ!..—ყვირილით ეუბნებოდა ბაბულიას შალიკო.

— არა გრცხვენია, შალიკო?! რას ერჩი?.. რა დაგიშავა ბაბულიამ, რომ ლანძღავ?..—შეეკითხა ქაიხოსრო შალიკოს?.-რისთვის? მიზეზი რა არის

— სწორეთ იმისთვის, რომ ჩემი დაიკო ბრიყვულ სიტყვებს ლაპარაკობს... მარწმუნებს, ივანიკას ლანძღვა—გინების მეტი ვერაფერი გასწავლებსო!.. მაგისთანა ტუტუც და გაუზდელ გლეხ კაცის შვილს ცემა უნდაო!.. აბა, ამ სიტყვებზე არ უნდა გავბრაზებულიყავი, მამა ჩემო? აბა, ვის გაუგონია ადამიანის ცემა-და გინება? მხეცი ხომ არ არის? ისიც ღმერთის გაჩენილი არაა, მიუხედავათ იმისა, რომ მოჯამაგირეა? აბა, მითხარი, ერთი?!

— მართალია, შვილო, მართალი!.. სისულელეს ლაპარაკობს... არც შენ უნდა დაუგდო ყური.. ჩამოშორდი, შვილო ჩემო, პასუხს ნუ გასცემ და სირცხვილათ ისიც ეყოფა!.. ეხლა კი წადი და დაიძინე. დროა!—უბრძანა ქაიხოსრომ და ცივათ აკოცა ბაბულიას, მხოლოდ შალიკო, მაგრათ გულზე მიკრული, მხურვალე კოცნით დაასაჩუქრა, რომელმაც მამას სიყვარულით კისერზე მოეხვია და სამაგიერო კოცნა-ხვევნით უპასუხა.

შალიკო და ბაბულია დასაძინებლად წავიდნენ. ქაიხოსრომაც სიჩქარით იწყო ტანსაცმლის გახდა. მარინეს ჯერ არ ეძინა და, სარკესთან დამდგარი, თმას ივარცხნიდა.

— მოვახერხე, ქალო! ხვალ სადილი გვექნება!.. ღიმილით წარმოსთქვა ქაიხოსრომ, როდესაც საწოლ ტახტზე ავიდა და საბანში გაეხვია. ამ სიტყვებით მას სურდა გაემხიარულებინა ცოლი, მაგრამ მარინემ პასუხის ღირსი არც კი გახადა და კვლავ განაგრძო, ტანის მოუმზადებლად, სარკეში ცქერა და თმის სწორება.

„ო—ვდე!.. ასეთი დღე ჩემს სიცოცხლეში არ მომწყენია რა!..—ფიქრობდა ქაიხოსრო და ცალი თვალით მარინეს უცქეროდა.—ღმერთო ამაში ნუ [illegible]... ან რა შესადარებელია? განა ჩემი სიცოცხლე—სიცოცხლეა? სრულებითაც არა... გამიგონია: „ცხოვრება—ბრძოლაა, ბრძოლა კი—ცხოვრება!..“ მხოლოდ ჩემს აქ სიცოცხლეს, ომში სიკვდილი სჯობია!.. იქ—ბრძოლაა,—სიცოცხლეა... აქ კი,—მხოლოდ ტანჯვა—წვალებაა... პირუტყვის დამცირება!.. იქ,—ყველა ერთია!.. აქ კი,—სხვა და სხვაობაა!.. შური და ბოროტება... იქ—ყველა მეომარია!.. აქ კი,—მონაბარი, მშიშარა და ცუდ-რია!.. იქ,—სინდისიერი ბრძოლაა!.. აქ კი,—ძლიერი წინაშე უძლურთა გმირობა და იდიდანობა!.. იქ—ბრძოლას უკვე წინასწარ განსაზღვრული მიზანი აქვს!.. აქ კი,—რაღაც უმიზნო, უთავბოლო, გაუთავებელი და უშინაარსო ბრძოლა სახსრების სწორებისათვის!..“

ქაიხოსრომ მიაწყვეტა ფიქრებს. რაღაც, მწარეთ გაიღიმა, კედლისაკენ გადაბრუნდა და მწარე ფიქრებს მისცა თავი...

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ყოველი მოწაფის მეხსიერებაში... და ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ვხედავდით და რაც დრო-ჟამი გადიოდა, მით უფრო ვრწმუნდებოდით, რომ მოწაფეობა უფრო აფასებდა ამ დიად ნიჭის პატრონს, ვიდრე ქართველი საზოგადოება, რომელსაც სრულებით დავიწყებია ტკბილი მომღერალი მგოსანი, მისი ნაშრომი, ნაღვაწი სრულებით უყურადღებოდ დაუტოვებია. ჩვენ სურვილი გვქონდა მისი სრული ნაწერების შეძენისა, მაგრამ ეს არსად იყო; გამოცემის შესახებ ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრინტიც არ დაუძრავს, მზრუნველობაც არ გამოუჩენია ვეძებდით მისი ნაწერების კრიტიკულ განხილვას, მაგრამ ვერსად ვპოულობდით, და ეს მაშინ როდესაც ჩვენს ახალგაზდა მგოსანთა ნაწერებს და მათ განხილვას ყოველგან შეხვდებით. ცახელი კი დავიწყებია ქართველ საზოგადოებას, ეს ის ცახელი-რომელიც მუდამ ისევ თავის ხალხისთვის მღეროდა თავის ხალხს ემსახურებოდა, ცახელი-ეს ვიმეორებთ, დიდი აკაკის ნამდვილი მემკვიდრე.. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

დღეს, როდესაც გაზეთ „სამშობლოს" 192-3 ნუმერებში წავიკითხე ბ. შალვა დადიანის და შ. ია ეკალაძე'ს წერილები, ჩვენ მგოსნის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, მის გასაჭირზე და ამასთანავე წარმოვიდგინე ქართველი ხალხის მიხდამი უყურადღებობა. გული ამიტირდა და ვიფიქრე: ნუ თუ ჩვენი ხალხი, ქართველობა—დღეს იმდენად დაკნინდა, იმდენად გაუცივდა მას გრძნობა, გული და მოსაზრება, რომ ყოველივე ამას ვერ ხედავს, ანგარიშსაც არ უწევს და სდუმს, სდუმს ვით სამარე? ნუ თუ ის ნებას მისცემს თავის თავს, ხმა არ ამოიღოს ამ საგანზე და თავისსავე მგოსანს არ თანაუგრძნოს იმ საქმეში, რომ ამ თანაგრძნობით მას შეუმსუბუქდეს ის მწუხარება, რომელსაც მგოსანი ნივთიერათ განიცდის!?... ჩვენ, ქართველი მოწაფეები, ყოველ წუთს მზადა ვართ აღმოუჩინოთ ჩვენს მგოსანს, როგორც ზნეობრივი, წმინდა მორალური, ისე მატერიალური დახმარება, რადგანაც ჩვენ ვიცით, თუ ვინ არის ცახელი, რა სიმდიდრეს და თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს ის საქართველოში. ჩვენი სურვილია, რომ ის არ განიცდიდეს არავითარ გაჭირვებას, მიეცეს მას სრული თავისუფლება, თავისუფალი გზა რომ ძველებურად, უზრუნველ-ყოფილმა მგოსანმა, დაგვიტკბოს სმენა მისი ჩანგის სიმთა მელოდიური ჟღერით! **ერთი მოწაფეთაგანი.**

საუბარი ჩვენ მკითხველებთან.

სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო, უკანასკნელი ორი სამი კვირის განმავლობაში ხელი შეგვეშალა და თავის დროზე გაზეთები ვეღარ მოგაწოდინეთ პროვინციაში, თუმცა გაზეთი ყოველდღე გამოდიოდა...

დღეს გიგზავნით ყველა დარჩენილ ნუმრებს და იმედი გვაქვს სულგრძელათ გვაპატიებთ დაგვიანებისათვის.

ხელ-მოკლე კაცის საქმე ყოველთვის საბოდიშო ხდება ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში მარტო ჩვენ არა ვართ დამნაშავე. დამნაშავეა ერთი ნაწილი ჩვენის ხელისმომწერლებისაც, რომელთაც აქამდე ხელის მოწერის ფული არ გამოუგზავნიათ.

ერთხელ და სამუდამოთ, რომ ბოლო მოეღოს ასეთს უხერხულ მდგომარეობას, ჩვენ იძულებულნი ვართ მოკლეთ დავუხატოთ ჩვენ მკითხველებს მდგომარეობა ჩვენის რედაქციისა, რათა მკითხველებმა ნათელი წარმოდგენა იქონიონ დღევანდელ ჩვენს ყოფნაზე. ასეთის განმარტებით ჩვენ გვინდა არა მარტო გაფანტვა იმ მითქმა-მოთქმისა, რომელიც ქ. ქუთაისში გაიმართა ჩვენის რედაქციის გარშემო, არამედ გვინდა დავანახვოთ ჩვენ მკითხველებს, ისიც თუ რა პირობებში გვიხდება მუშაობა...

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საზოგადოება დაყოფილია ჯგუფებათ. ესა თუ ის გაზეთიც აღიარებულია ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გამომხატველ ორგანოთ და მით უფრო ღონივრათა გრძნობს თავს, რაც მეტი მკითხველი და თანამგრძნობელი ჰყავს...

თუ არ გაგვიჯავრდებიან ჩვენში გაბატონებული ჯგუფები—გულ ახდილათ მოვახსენებთ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით არც ერთ მათგანს... ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ბატონობას, რა ჯურისაც უნდა იყოს ეს ბატონობა, მონობაც თან ახლავს და ამიტომ რაღაც ვერ ვეთვისებით ვისიმე ბრძანებას, ვისიმე დამორჩილებას. ამასთანავე ჩვენა გვგონია, რომ იქ, სადაც შეგნება, შესმენაა, სადაც საქმეს უფრო მაღლა აყენებენ ვიდრე პირად ქინიანობას, მართალი სიტყვაც კი დროზე თქმული დიდათ სასარგებლოა, თუნდაც ამ სიტყვას არ ახლდეს სოციალიზმისა თუ სხვა მაღალფარდოვან „იზმების" სამოსელი.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ არის მაღალი, თუნდა ღვთაებრივი იდეები და იდეალები, მაგრამ ამ იდეალების შესისხლხორცებას, მათ შესრულებას მომზადება საჭიროა. მომზადება კი ქართველ ხალხს საწუხაროდ ჯერ არა აქვს—სულ სხვა გვარ პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებში ვიმყოფებით და თუ ათსა და ოცკაცს მაინც მოვამზადებთ ამ იდეალების შესამცნებათ, ჩვენ თავს ბედნიერათ ჩავთვლით. დაე სხვამ არახუნოს ბრტყელ ბრტყელი სიტყვები, ჩვენ კი სულ მცირე, მაგრამ აუცილებლად საჭირო დევიზი გვაქვს დასახული: **„შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლე!**

ქართველ ხალხსაც უნდა სიცოცხლე და თუ კი მოვახერხეთ ამ სიცოცხლის დამშვენება, ჩვენ ამითაც კმაყოფილი ვიქნებით. ამ მხრივ ჩვენი **„ჯგუფი" მთელი საქართველოა** და ასპარეზი—სამართლიანობისა და ადამიანურ ურთიერთობის დამყარება. ამ აზრისა მარტო ჩვენ არ გახლავართ. ამ აზრისაა, ამ გულისთქმისაა უმრავლესობა მშრომელის ხალხისა, ხოლო ვისაც ჯერ ეს საანბანო ჭეშმარიტება არ შეუგნია, მის გავრცელება და შეგნება დიდი და საშვილიშვილო საქმეა...

ასეთი გულისთქმა ამოქმედებდა ქუთათურ ერთ ჯგუფსაც, რომელიც მუშაობდა გაზეთ „იმერეთის" გარშემო. ამ გაზეთის რედაქციაში დავიწყეთ ჩვენც მუშაობა. შეუმცდარი და უყინარი მხოლოდ მკვდარია, ცოცხალ ადამიანს კი შეცდომა ყოველთვის თანა სდევს. შეიძლება ჩვენც შევცდით როდისმე, მაგრამ შეცდომის—გასწორების შემდეგ,—მიტევებაც უნდა მოსდევდეს, მაგრამ, საუბედუროთ, ამის შეგნება ნაკლებათა გვაქვს. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენში **სიტყვით** მომუშავე უფრო ბევრია, ვიდრე **საქმით**. გარდა ამისა, ჩვენში ბევრია ისეთებიც, რომლებიც მარტო **სახელისათვის „მოღვაწეობენ"**, მათი გული და გონება სრულიადაც არ ეკვრის ამა თუ იმ საზოგადო საქმეს.

თქვენ, ალბათ, ბევრს იცნობთ ასეთ ტიპებს, და ამ გვარების მეოხებით ხშირათ თვით საქმეც ფუჭდება.

არ ვიცი ბევრი ერია თუ არა ჩვენ ჯგუფში ასეთი ტიპის ხალხი, მხოლოდ ეს კი მართალია, რომ ეს „ჯგუფი—როგორც კოლეგია—მალე დაიშალა და გაზეთის გამოცემის მძიმე საქმე დაგვაწვა მარტო ჩვენ.

პირველ ხანებში გაზეთის საქმე ჩინებულათ მიდიოდა მაისის გასულამდე. მაგრამ, აი, დადგა ზაფხული, დაიცალა ქალაქი, წავიდ-წამოვიდენ მოწაფეები, ტირაჟი შემცირდა. სამაგიეროთ ერთი სამათ გაძვირდა ქაღალდი, მოიმატა აწყობისა და დაბეჭდვის ფასმაც და... დადგა ისეთი კრიზისი, რომელმაც კინაღამ არ იმსხვერპლა მთელი გამოცემა. მაგრამ აქ დაგვეხმარენ ქუთათური მოქალაქენი, რისთვისაც ჩვენ უგულითადესს მადლობას ვუძღვნით...

თითქოს შესდგა ახალი კოლეგია, ამოირჩიეს სარედაქციო კომისია საპატიო პირებისაგან შემდგარი. იანგარიშეს თუ რა დეფიციტი იქნებოდა წლის გასვლამდი და გადასწყვიტეს დახმარებოდენ გაზეთს 2500 მანათით. ამ თანხიდან მომცეს 650 მანათი,—რაც ერთი თვის ქაღალდისა და ასოთ-ამწყობთა ნახევარ თვის ხელფასს ძლივს ეყო. ეს გახლდათ ზაფხულის ბოლო თვეში. მას შემდეგ არც კომისია მომკარებია და ვერც ახალი კოლეგია შევაწუხე ბეჯითად...

ამ ორი კვირის წინათ ჩვენთან მოვიდენ ძველი „იმერეთი"-ს კოლეგიის ყოფილი წევრები და გვთხოვეს კვლავ გვემუშავებინა იგინი გაზეთში. მე არც არავისათვის დამიშლია მუშაობა და არც არავისთან დამზარებია მუშაობა საპატიო და ადამიანურ პირობებში, ამიტომ თანხმობა განვუცხადე და კოლეგიიდან მხოლოდ ერთი წევრის დათხოვნა მოვსთხოვე. წავიდენ თავისიანებთან მოსალაპარაკებლათ.

მეორე თუ მესამე დღეს გამომიცხადეს: „გადმოგვეცი გაზეთი სულ ჩვენ... დაითხოვე თანამშრომელი ბ. ამ—ი და შენც რედაქტორობიდან გადადექიო".

მე მივხვდი ვისი გეგმაც იყო ასეთი არა საკადრისი წინადადება, ვისაც სურდა ჩვენი თავიდან მოშორება და მტკიცე უარზე დავდექი. მაგრამ რაკი ჯგუფი აპირებდა გაზეთის გამოცემას და არ მინდოდა, რომ ჩემთვის დაებრალებინათ „გაზეთის წართმევა" და სხვა ამისთანები წინადადება მივეცი—ეკისრათ ჩვენი რედაქციის ვალები, გამოეცათ ახალი გაზეთი, (ახალის სახელით) და მე კი დავუთმობდი რედაქციას, აგენტურას და ხელის მომწერლებს...

ეს წინადადებაც ესიამოვნათ. და აი ორი კვირაა ამაზე ბჭობდენ და მსჯელობდენ. ამასობაში ქუთაისში ათასი ჭორები გავრცელდა. ათასი მითქმა—მოთქმა გაიმართა. მე ვუცდიდი მხოლოდ რედაქციის გადაცემას და მაშინ ვაპირებდით ჩვენი განმარტების გამოცხადებას...

გუშინ წინ უკანასკნელი კრება ჰქონიათ, რომელზეც ჩვენი მიწვევა საჭიროთ, არ უცვნიათ და რადგანაც ზოგიერთი კითხვა ვერ განუმარტავთ, და რედაქციის შინაგანი მხარე სასურველათ ვერ დაუხატავთ, კრებას საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიუღია. ჩვენ რომ მივეწვიეთ ერთხელ კიდევ დავუმტკიცებდით, რომ გაზეთის გამოცემა არავისათვის საზარალო არ არის, თუ კი საჭირო თანხა ექნებათ და ჯეროვან პირობებში ჩააყენებენ მომუშავეებს. ჩვენ დავუმტკიცებდით აგრეთვე, რომ ჩვენ გაზეთი არც ისე დამცირებული ყოფილა ხალხის თვალში, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, თუ სურვებია დაეხატა კრებისათვის. აი, რას ამბობენ უტყუარი ციფრები:

ამ ათი თვის განმავლობაში (პირველ იანვრიდან) შემოსავალი ყოფილა 13,093 მ., და 59 კ.

შემოსასვლელია კიდევ 1300 მ., (ხელის მომწერლებისაგან).

სულ 14,393 მან. 59 კ.

გასავალი ყოფილა:

მესტამბესა და ასოთ ამწყ.	4230—20 კ.
ქაღალდში მიგვიცია (ბ-ნ გოკიელისათვის	3333 მ. 42 კ.
ფოსტა, ტელეგრაფი, ბაგაჟ.	1069—02 კ.
საკანცელარიო ნივთები.	150—35 კ
შუშა—განათება	86—32 კ.
ჯამაგირები მოსამსახ.	3360—57 კ.
ვალების გადასახდელი	935—51 კ.

სულ 13,166 მ., 24 კ.

ვალი აქვს რედაქციის კერძო პირებისა	1330 მ.,
ბინის.	600 მ.,
ასოთ-ამწყობებისა და სტამ.	238 მ., 25 კ.
მოსამსახურეებისა.	200

სულ ხარჯი აქვს დღევანდლამდე 15534 მ. 29 კ.

ამ გვარათ—(15534 მ.
[illegible]რო გამოვრიცხოთ 14393—59)
დღეს რედაქციას ვალი აქვს—1140—70.

აი ეს გახლავთ დეფიციტი ათი თვის განმავლობაში. თვეში ათ-თუმანზე ნაკლები... განა ამისთანა დეფიციტმა უნდა შეაშინოს რომელიმე კოლეგია, თუ კი საქმის გაკეთება უნდათ? ან განა ასეთი მცირე დეფიციტი ექნება გლახა გაზეთს ამ სისხლის წვიმების დროს?!

მათ მსჯელობასა და გაზეთის გადაცემის მოლოდინში, მე მუშების გასასტუმრებელი ფული ვეღარ დავიგულე და რადგანაც 15 ანგარიში ვეღარ გავუსწორე, გაიფიცნენ და გაზეთი დღევანდლამდე შეიჩერეს, რამაც საბუთი მისცა აქაურ რუსულ გაზეთს ანდერძი აეგო ჩვენის გაზეთისათვის. მე გავუგზავნე ამ რედაქციას შესაფერი პასუხი რუსულ ენაზე, რომელსაც თუ თვითონ არ მოისურვებს, ძალათი დავაბეჭდვინებ, მაგრამ რა ვუყო ზოგიერთ „ჩემიანებს", როცა შრომისა და გარჯის დაფასება არა სცოდნიათ?

იმედი დამრჩენია მხოლოდ ხელისმომწერლებისა და თუ თავის დროზე გამოგზავნიან სვედრ ფულს, კვლავ განვაგრძობ ისე ერთგულათ მუშაობას, როგორც მიმუშავნია და ვისაც ეს ნამუშავარი არ მოეწონება, ვსთხოვ ნუ წაიკითხავს ჩვენს გაზეთს. ჩვენ უიმისოდაც კმაყოფილი ვართ ზნეობრივათ და ყოველდღიურ რვა მანათის მაგივრათ ქაღალდში 22 მანათი რომ არ გვეხარჯებოდეს—ჩვენვე შევიტანდით იმ ცვლილებას, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის ნაკლათ მიაჩნიათ და არც არავის შეწუხება არ მოგვიხდებოდა, თუ შეწუხებათ ჩაითვლება საერთო ძალით ზნეობრივათა და ქონებრივათ სასარგებლო საქმის გამოწყობა.

რაც შეეხება გაზეთის გაუმჯობესებას, მის მრავალფეროვნებას და შინაარსიანობას—ამას დიდი ფული სჭირია და თუ კი ვინმე საშუალებას მოგვცემს სათანადოთ გავშლოთ ხელი, ჩვენ მზათა ვართ დავუთმოთ გაზეთის გამომცემლობა.

გაზეთს ერთით კომერციული მხარეც აქვს. რაც მეტს დახარჯავ—მეტი გასავალიც ექნება. განა ბევრი რამ ყრია „სახალხო ფურცელში", რომ ათასობით გადის?! კარგი ქაღალდი, ლამაზი შრიფტი, ამა თუ იმ დარგში მომზადებული თანამშრომლები, თვალსა სჭრიან მკითხველს და ბევრი სხვა მიმართულებისაც კითხულობს ამ გაზეთს.

ჩვენც ვეცდებით, თუ დაგვეხმარებიან, გავამშვენიეროთ ჩვენი გაზეთი, მით უმეტეს რომ ტეხნიკური მხარე გაზეთისა ჩვენთვის ძალზე ნაცნობია.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ცხრა-წყარო (შორაპნის მაზრა). ბოროტება უუბოროტესზე ნაკლები სენია, ნათქვამია. ამ გლოვისა და ტირილის ხანაში დღითი დღე ემატება ჩვენს სოფელს სიმწუხარე. ერთად-ერთი საშუალება მატერიალური უზრუნველ ყოფილობისა გვქონდა ღვინო, ეს უკანასკნელი იყო ჩვენი ჩიმცმელ-დამხურველი, ბავშვების აღმზრდელი და სწავლა განათლების მიმცემი, ეს იყო ჩვენი სტუმრისა და მასპინძლის შემხვედრი და ხარჯების, ვალების და ვალდებულობის გადამხდელი, დღეს კი ესეც გამოგვეცალა ხელიდან მოუსავლობის გამო. მართალია, სიმინდი იმდენი მოვიდა, რომ ოდნავ მაინც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, მაგრამ რა ქნას მარტო სიმინდმა, როდესაც იგი აუცილებლად ფულად უნდა ვაქციოთ ყოველი სხვა საჭიროების დასაფარავად, ამიტომ დამშევა მოგველის და ისედაც განახევრებულ სოფელს ბოლოს მოუღებს სიმშილი და მისგან გამოწვეული სხვა და სხვა ავათმყოფობა. დღევანდელ ომისაგან და ბუნებისაგან გამოწვეულს საშინელებას მიუმატოთ ჩვენ შორის ზოგიერთი პირის ბოროტმოქმედება და თვალ წინ გადაგეშლებათ სურათი ჩვენი დაცემისა და სულიერათა და ხორციელათ გათახსირებისა. მაგალითად ამ თვის 3 რველ რიცხვებში აქ ჩამოვიდა ვიღაც უცნობი მისის წყალობით გვერდ-გვერდ ხმა თავზარ დამცემი მთელი კლდეეთის საზოგადოებისა, რომ მთავრობა თხოულობს ხარებს სამუშაოდ წასაყვანათ და აგრეთვე მუშა ხალხსა. ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა სინამდვილეს ამ ხმებისა და გოდებდენ: რა გვეშველება თუ ეს უკანასკნელი საშუალება ძალაც ხელიდან გამოგვეცალაო. ვინღა უპატრონებს ქალებს და ბავშვებს ან რა საშუალებით დაიმუშავებს [illegible] ვერ წარმოვიდგინეთ ასეთი განკარგულება მთავრობისა, მაგრამ [illegible] მოიწვია სერთო ყრილობა და უცნობის თანადასწრებით [illegible] მთავრობა იწვევს ყველას, ვისაც კი მუშაობა შეუძლია თავიანთი ხარებით ყარსისაკენ სამუშაოთ, ყველა მათგანს უნიშნავს თვიურად 120 მანეთსო და ვინც სასალდათოთ ანთავისუფლებსო, რადგან ეს მუშაობა ომისაგან არის გამოწვეულიო ზოგნი ჩაეწერნენ კიდეც უმრავლესობა კი გამოცხადდა მაზრის უფროსთან სინამდვილის გასაგებად. აიხსნა, რომ არავითარი ასეთი განკარგულება მთავრობისაგან არ ყოფილა და უცნობი ყოფილა მოიჯარადრე, რომელსაც მოუნდომებია ასეთი საშუალებით და მამასახლისის შემწეობით შეეძინა სამუშაო ძალა ყარსის და სარიყამიშის გზაზე წასაყვანად. მოჰკრა თუ არა ყური მამასახლისმა, რომ გლეხები მაზრის უფროსთან წავიდნენო მოიჯარადრე გააპარა და თვითონ დარჩა დაუსჯელი. რომ მომავალში კიდევ ასეთი უზნეო ქცევა არ განმეორდეს და ხალხი განსაცდელსა და შეცდომაში არ შეიყვანონ საჭიროა ამ გვარი ვაჟბატონების დატუქსვა. **ფიქე მელაქიძურელი.**

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი „გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და შემოსწირეს „დულაძისეულ" მოდინის მგოსნის ვაჟა ფშაველას სახელობის მომავალ სამკითხველო-ბიბლიოთეკას ფული თუ წიგნები: მღვდლებმა სერ. ტაგერიშვილმა, სილ. შუბლაძემ, ირაკლი ბაკურაძემ და დიაკონმა სამუელ ანთაძემ თითო მანეთი, ილია მესხმა სამი მანეთი, პორფირე მეძმარიაშვილმა ორი მანეთი, სერგო კოსტავამ ერთი მანეთი, ვასო წითაძემ—ჟურნალ „ნედელის" 1904 წლის ყველა ნუმრები, „ლესკოვის" თხზულება 12 ტომი, „ვსემირნაია ისტორია" 11 წიგნი, „იურიდიჩესკი ვესტნიკი" 7 წიგნი და სხვადასხვა რუსული წიგნები 12 ცალი.

სამკითხველოს პასუხისმგებელი გამგე და კომიტეტის წევრი **ლადო ბზვანელი.**

თქვენი გაზეთის №-195 მოთავსებულია შენიშვნა, ვითომც მე ვიყავი არჩეული ქ. ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზედ და ქუთაისის გუბერნატორისაგან არ ვიქმენ დამტკიცებული.

ეს შენიშვნა ყოველ სისწორეს და საფუძვლსაც მოკლებულია. თავის დროზე ვიყავი არჩეული ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობაზე და კიდევაც დამტკიცებული. ქალაქის თავის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა არ ყოფილა წამოყენებული და მე არც ვყოფილვარ ამ თანამდებობაზე არჩეული; მხოლოდ კანონის მოთხოვნის თანახმად, ვასრულებ ქალაქის თავის თანამდებობას, სანამდი არჩევნები არ მოხდება.

ზ. ტყემალაძე.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-მდე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურის მიერ